საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
საქართველოს

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 7947/01
19/08/2020

7947-01-2-202008191218

შპს „კავკას მეტალის“ დირექტორს
ბატონ **კონსტანტინე წირღვავას**

მის: *ქ. თბილისი, ქიზიყის ქ. N 14*

ბატონო კონსტანტინე,

თქვენი 2020 წლის 7 აგვისტოს N12445 განცხადების პასუხად, რომელიც ეხება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილ, ქ. თბილისში, რუსთავის გზატკეცილ N36-ში ლითონის ცხელი მოთუთიების საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტს, გაცნობებთ რომ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში არ არის მოცემული სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული შემდეგი ინფორმაცია:

- დაზუსტებული მანძილი საპროექტო ტერიტორიიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლებამდე. საპროექტო ტერიტორიის აღმოსავლეთით მდებარეობს ორსართულიანი შენობა (ანგარიშის მიხედვით, უკანონო მშენებლობა), რომელიც საპროექტო ტერიტორიიდან დაშორებულია 40 მ-ით. ელექტრონული გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული ტერიტორია თავისი შენობა-ნაგებობით რეგისტრირებულია 2018 წელს, შესაბამისად დაზუსტებას საჭიროებს არსებული შენობის ფუნქციური დანიშნულება;
- დაზუსტებას საჭიროებს GPS კოორდინატები. გაცნობებთ რომ გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს საპროექტო ტერიტორიის (შენობის) ყველა კუთხის GPS კოორდინატი;
- ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმაში წარმოდგენილი უნდა იყოს ავარიული სიტუაციებისათვის გათვალისწინებული ძირითადი პრევენციული ღონისძიებები. ამასთან განხილული უნდა იყოს სახანძრო სისტემის მოწყობის საკითხი;
- გზშ-ის ანგარიშის 5.11.2 თავში (ადამიანების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება) საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია საწარმოს პერსონალის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან

დაკავშირებული კონკრეტული რისკებისა და შესაბამისად, კონკრეტული შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ;

- ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი შემარბილებელი ღონისძიებების გეგმა-გრაფიკი;
- ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-10 მუხლის მე-3 ნაწილის ,,დ.ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია, მათ შორის საწარმოო ინფრასტრუქტურის მოწყობა/განთავსების შესახებ დეტალური ინფორმაცია, მოწყობის ვადები;
- საწარმოს ალტერნატივების ანალიზი (არაქმედების ალტერნატივა, განთავსების ადგილის ალტერნატივა, ტექნოლოგიური ალტერნატივები და შერჩეული ალტერნატივის დასაბუთება გარემოსდაცვითი თვალსაზრისით);
- ინფორმაცია ნედლეულისა და პროდუქციის ტრანსპორტირებიდან გამომდინარე გარემოს შესაძლო დაბინძურების და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ (დღის განმავლობაში განსახორციელებელი სატრანსპორტო ოპერაციების რაოდენობა; ინფორმაცია ღამის საათებში (ნედლეულისა და პროდუქციის შემოზიდვა/გაზიდვის) ტრანსპორტის გადაადგილების აკრძალვის შესახებ);
- სკოპინგის დასკვნის მოთხოვნის შესაბამისად, გზშ-ის ანგარიშში გათვალისწინებული იყოს გამწოვი ვენტილაციის სისტემისა და შესაბამისად გაფრქვევის მილის მოწყობის საკითხები.
- განსახორციელებელი გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა-გრაფიკი, სადაც გათვალისწინებული იქნება ინსტრუმენტული მონიტორინგის (**სიხშირის და კოორდინატების მითითებით**) განხორციელების საკითხი;
- ინფორმაცია მოთუთიების ავზების დაცლის და ამორტიზირებული/გამოყენებული ფოსფორმჟავას მართვის შესახებ;
- გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, საწარმოს საპროექტო სიმძლავრის გათვალისწინებით, 380 ტ/წელ თუთიის გამოყენებისას წიდის სახით რჩება: ნიკელი, ტყვია, კადმიუმი, რკინა, ალუმინი, სპილენძი. შესაბამისად, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს აღნიშნული წიდის შემდგომი მართვის საკითხები;
- საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობის, სახეობის, სახიფათობის მახასიათებლების და მათი შემდგომი მართვის საკითხების შესახებ, ,,ნარჩენების მართვის კოდექსის" და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით;
- გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, ,,საწარმოს საქმიანობის შედეგად ატმოსფეროში გამოიყოფა სხვადასხვა მავნე ნივთიერებები. ყურადღებას და განხილვას მოითხოვს დაგეგმილი საქმიანობის შედეგად გარემოში გაფრქვეული შემდეგი მავნე ნივთიერებები: ფოსფორმჟავასა და თუთიის ორთქლი". გზშ-ის ანგარიშში, წარმოდგენილი უნდა იყოს ყველა მავნე ნივთიერება, რაც საქმიანობის შედეგად გაიფრქვევა ატმოსფერულ ჰაერში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

პატივისცემით,

ხატია წილოსანი

მინისტრის მოადგილე